

წამადამოკიდებულთა სპეციალიზებული მკურნალობის
პრობლემები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში და მათი
გადაჭრის გზები

მიხეილ ივანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის
კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

ადიქციის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მიხეილ ივანიშვილი

26.06.2017

აბსტრაქტი

ნარკოტიკების მოხმარება აქტუალური პრობლემაა როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში. ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების მართვა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებებსა და სამეცნიერო მტკიცებულებას. მნიშვნელოვანია, რომ წამალდამოკიდებულ პირებს ჰქონდეთ წვდომა მკურნალობისა და ფსიქოსოციალური ზრუნვის თანამედროვე ეფექტურ შესაძლებლობებზე.

საქართველოში ციხის პოპულაცია მთელი მოსახლეობის დაახლოებით 0.3%-ს შეადგენს; მათგან დაახლოებით 15-20% წამალდამოკიდებული პირია, რაც იმას ნიშნავს, რომ პენიტენციურ სისტემაში შესვლისთანავე ეს ადამიანები საჭიროებენ გრძელვადიან სამედიცინო დახმარებას, რამდენადაც წამალდამოკიდებულება კომპლექსური პრობლემაა და გრძელვადიან ჩარევას მოითხოვს.

ნაშრომი მიზნად ისახავდა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამალდამოკიდებულთა სპეციალიზებული მკურნალობის საჭიროებებისა და არსებული სერვისებით მათი დაკმაყოფილების ხარისხის შესაწვლას; ასევე ამ სერვისების გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირებას. ამგვარი კვლევა ქვეყანაში დღემდე არ ჩატარებულა.

განხორციელებული კვლევის მეთოდოლოგია კომბინირებულია და მოიცავს როგორც თვისებრივ, ასევე სამაგიდო კვლევას. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები საქართველოს პენიტენციური დაწესებულებების ექიმებთან და ექსპერტებთან; ასევე, ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ყოფილ პატიმარ წამალდამოკიდებულ

პირებთან. სამაგიდო კვლევის ფარგლებში განხორციელდა რელევანტური სტატისტიკის ანალიზი სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში; გარდა ამისა, მოხდა საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოქმედი მეთადონით დეტოქსიკაციის პროგრამით გათვალისწინებული დოზებისა და დახმარების გაწევის პერიოდის სიმცირე, რაც ნეგატიურად აისახება წამალდამოკიდებულ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, მეთადონით დეტოქსიკაციის პროგრამიდან მათი გაყვანის მერე, პატიმრის პრობლემური მდგომარეობის სამართავად გამოიყენება ფსიქოტროპული საშუალებები, რაც წამალდამოკიდებულების პრობლემას ამძაფრებს. კვლევამ, ასევე, გამოავლინა, რომ პენიტენციურ სისტემაში არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი-ექიმი ნარკოლოგის მუშაობა.

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებულ იქნა რეკომენდაციების პაკეტი, რომლის თანახმადაც საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მნიშვნელოვანია მეთადონით მხარდამჭერი თერაპიის პროგრამის დანერგვა; აუცილებელია პენიტენციური დაწესებულების №18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო ცენტრის ნარკოლოგიური განყოფილების ამოქმედების ხელშეწყობა; მნიშვნელოვანია პენიტენციური სისტემის სამედიცინო სერვისში მულტიდისციპლინური გუნდის შექმნა და სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვა-განვითარების ხელშეწყობა.

ძირითდი საძიებო სიტყვები: წამალდამოკიდებული პირი, ციხეები, მენტალური ჯანმრთელობა, მეთადონი, ზიანის შემცირება

Abstract

Drug use is an actual problem in Georgia, as well as all over the world. Management of this problem requires complex approach, based on human rights and scientific evidence. People with addiction related problems should have access to the treatment and evidence based modern methods of psychosocial care. Prisoners make up about 0.3% of the country population; 15-20% of them are drug-addicts, which means that they are in need of the long-term medical and psychosocial care, since drug addiction is a complex problem and requires long-term intervention.

The aim of the study was to explore treatment and psychosocial care needs of the inmates and Georgian penitentiary system, to find out at which extend the Georgian penitentiary system can meet these needs by the means of the relevant services to explore the ways for improving these services. Such a research has not been conducted in Georgia yet.

The research methodology is combined and includes qualitative study and a desk research. Within the framework of qualitative study, the 2 focus groups were held – one with the doctors and the second one with the experts from the penitentiary establishments of Georgia. In addition, a round of the semi-structured interviews were conducted with the 3 former prisoners, currently – clients of the Methadon Substitution treatment program. In the frame of the desk research, an analysis of the relevant statistics was carried out in the medical department of the Ministry of Corrections of Georgia; In addition, international standards and best practices in providing care to addicted prisoners was studied.

The study revealed that the methadone detoxification program - an only specialised service available for addicted prisoners within the prison setting is not

sufficient to assure good quality care. Moreover: dosage of methadone prescribed for detoxification is too small while length of the detoxification is too short, which negatively influences mental health state the inmates. Due to that, after withdrawal from the methadone detoxification program, to manage withdrawal symptoms, inmates usually take prescribed psychotropic drugs which results in a new kind of dependency. The study also revealed that the current specialized medical staff of the penitentiary system (an only medical doctor-narcologist) is not sufficient to respond to the treatment needs of the addicted prisoners .

Based on the results of the survey, a package of recommendations has been developed, proposing the following: to introduce methadone substitution therapy program within the penitentiary system of Georgia, to start the addiction treatment department within the Medical Center for Prisoners in the prison no.18, to introduce multidisciplinary team work and develop programs aiming at psychosocial rehabilitation within the medical service of the penitentiary system.

Key Words: Drug users, prisons, mental health, methadone, harm reduction

მადლობა

მადლობას ვუხდის საკვლევო თემის ხელმძღვანელს ქ-ნ დარეჯან ჯავახიშვილს დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის. ასევე ქ-ნ ირმა კირთაძეს და ბატონ დავით ოთიაშვილს რეკომენდაციებისათვის.